სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

05 მარტი 2025

N 21/1709

შპს „vivacement"-ს

მის: ქ. რუსთავი, წერეთლის ქუჩა No41ა

ელ. ფოსტა: gtsconsulteam@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი წერილი (N546), რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს N21/11995 წერილით მოთხოვნილი შემდეგი საკითხი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ობიექტის განთავსების ტერიტორიიდან ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უახლოესი დასახლებული ობიექტის საზღვარზე (პირდაპირი დაშორების მანძილი 12 მ) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს (მაქსიმალური კონცენტრაცია არაორგანული მტვერი 70-20% SiO_2, ზდკ-ს წილი შეადგენს 0,96 მგ/მ^3). ამასთან, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 100 მ მანძილის დაშორებით მდებარეობს შპს „რუსთავის ფოლადის" საწარმო და ცემენტის საწარმოს 500 მ-იანი რადიუსის მანძილზე ხვდება შპს „რუსთავის ფოლადის" მილსაგლინავი საამქროს ობიექტი, რომლის გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს: 1) ორი ერთეული თერმული დამუშავების ღუმელი; 2) მილსაგლინავი აგრეგატი 400 რგოლური ღუმელი; 3) ოთხი ერთეული მილების პლაზმური ჭრის ჩარხი. ჩამოთვლილი წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები იდენტურია შპს „vivacement"-ის ცემენტის საწარმოს მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებისა, რომელიც გათვალისწინებული არ არის კუმულაციური ზემოქმედების მიზნით ატმოსფერული ჰაერის შეფასების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „vivacement"-ის ცემენტის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის შეფასების მიზნით საკვლევ წერტილში (უახლოესი სახლი 12 მ) გათვალისწინებული უნდა იყოს შპს „რუსთავის ფოლადის" საწარმოს მილსაგლინავი საამქროს ობიექტის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის გადამუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/1709-21-2-202503051628